



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49. 4923214001

თარიღი:02/08/2023

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარის არჩილი ღიბრაძის მივლინების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის #211 დადგენილების მე-3 მუხლისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2023 წლის 20 ივნისის # ბ49.49231713 ბრძანების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. **არჩილი ღიბრაძე** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, 2023 წლის 24-26 აგვისტოს მივლინებული იქნეს ყაზბეგში (სასტუმრო „რუმს ყაზბეგი“), საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის XIV ყოველწლიურ კონფერენციაზე, სახელწოდებით „ფინანსების ეფექტური მართვა და ალტერნატიული წყაროებიდან რესურსების ათვისების დაგეგმვა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის“.

2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში მოვალეობის შესრულება დაევალოს კომისიის წევრს კობა გურეშიძეს.

3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

